საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/137

ქ. ბათუმი 05 დეკემბერი, 2019 წ.

„ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №70 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№13, 05.11.2019) ამონაწერის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 08 ივლისის №70 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დამატება, კერძოდ, დადგენილების:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) 2019-2020 სასწავლო წლის **შემოდგომის სემესტრში** სასწავლო პროცესი (სააუდიტორიო მეცადინეობები) ბაკალავრიატის, დაწყებითი განათლების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო და მედიცინის ერთსაფეხურიან (ქართულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიწყოს 2019 წლის 16 სექტემბერს და დასრულდეს 28 დეკემბერს.“

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტებისთვის 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი (სააუდიტორიო მეცადინეობები) დასრულდეს 2019 წლის 22 დეკემბერს, ხოლო ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 23 დეკემბრიდან 2019 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით (**დანართი 2**-ით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით).“

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი — ფერაბ ხალვაში

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის
05 დეკემბრის N06-01/137 დადგენილების
დანართი 1.

„განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტთა 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასკვნითი გამოცდების განრიგი

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი	სასწავლო კურსის წარმმართველი პერსონალი	გამოცდის ჩატარების თარიღი	შენიშვნა
განათლების ფილოსოფია	არჩევითი	გული შერვაშიძე - პროფესორი	23.12.2019	
სწავლებისა და სწავლის პროცესის მართვა	არჩევითი	ნატო შეროზია - ასოცირებული პროფესორი	24.12.2019	
განათლება მრავალფეროვან საზოგადოებაში	არჩევითი	მადონა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი	25.12.2019	
ინგლისური ენა C1.1	არჩევითი	ნინო დონდოლაძე მასწავლებელი	25.12.2019	აბარებს 1 სტუდენტი
ფინანსები განათლებაში	ძირითადი	რამინ ცინარიძე - ასისტენტ პროფესორი	26.12.2019	
განათლების სოციალური საფუძვლები	არჩევითი	მარინე გურგენიძე - ასოცირებული პროფესორი	27.12.2019	